



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №40

2018 წლის 22 მარტი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 იანვრის №3 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 11/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.105.016391) დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. ყოველი თვის არაუგვიანეს 5 რიცხვისა საკრებულოს წევრი აპარტში წარმოადგენს მოსახლეობასთან შეხვედრის დამადასტურებელ ოქმს/ოქმებს და განცხადებას, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს მის მიერ გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების წარმოშობისა და დასაბუთების შესახებ ინფორმაცია.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„5. საკრებულოს აპარატში ყოველთვიურად ინახება საკრებულოს წევრთა მიერ ხარჯების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია